ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2996015

ნომერი: AR1460313

თარიღი : 30.11.2016

გაცემის თარიღი : 13.12.2016

გაცნობის თარიღი : 13.12.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქინძმარაულის ქუჩის II შესახვევი N8ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ გეთიაშვილი პ/ნ 01011017822
- თბილისი, შორაპნის #23

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2172271
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 23.09.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზედ თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 24/08/2016 წლის №ბ-251633/12 ბრძანებაში ექსპლუატაციაში უარის თქმის შესახებ აღნიშნულია, რომ: შეცვლილია კეთილმოწყობა და გაუქმებულია გამწვანების ზოლები; ღია ავტოსადგომების ადგილას განთავსებულია არსებული შენობა-ნაგებობა; ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურითვის განხორციელებული მშენებლობის დადასტურების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული აქტი, შესაბამისად, საჭიროა, წარმოადგინოთ ანაზომი პირველი სართულის გეგმა (დარღვევით ნაწარმოები/კორექტირებული ადგილ(ებ)ის მონიშვნით); წარმოადგინეთ არსებული გენგეგმა შეცვლილი კეთილმოწყობის, გამწვანებისა (კ3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის მითითებით) და ავტოსადგომების ჩვენებით;

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.